საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2/815

ქ. თელავი „03" „08" **2018 წ.**

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეების შემდეგ ეტაპზე დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 25 ივლისის N2/773 ბრძანებისა და უნივერსიტეტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარებისათვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 25 ივლისის N2/774 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სოლომონ რამაზაშვილის სამსახურებრივი ბარათის (03/08/2018წ. N977245) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებულ იქნენ შემდეგი კონკურსანტები:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

- სპეციალისტის (კომპიუტერული ცენტრი) 1 (ერთი) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად - დიმიტრი ყვარელაშვილი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

- მთავარი სპეციალისტის 1 (ერთი) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად - თენგიზი კუკუნაშვილი

2. დაევალოს უნივერსიტეტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩასატარებისათვის შექმნილ საკონკურსო კომისიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას დიმიტრი ყვარელაშვილისათვის და თენგიზი კუკუნაშვილისათვის წინამდებარე ბრძანების სათანადო წესით გაცნობა;
4. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანების ვებ-გვერდზე განთავსება;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 41).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: /მზია მაისურაძე/